სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თეონა კობიაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**7**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

ირაკლი ბონდარენკო:

თარიღი: 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თეონა კობიაშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის **№1/115** განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს საერთო სასამართლოებში 38 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით.

კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ **თეონა კობიაშვილის** შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტებით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი), სპეციალობით მუშაობის 16 წლიანი გამოცდილება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანდიდატი შეკვეფასე სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული დ პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება; პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა; მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

1.1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოქალაქის – კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის პატიოსნება, შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა

გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

თეონა კობიაშვილს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები გამოარჩევენ კანდიდატის გულისხმიერებას, მოხანდასახულობას, ობიექტურობას, ჰუმანურობას, პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, ეთიკურობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაკალიანება არ ერიცხება. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი 1539 კვ.მ თელავის რაიონი სოფელი ვარდისუბანი), უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, თეონა კობიაშვილს არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არცერთი ფაქტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ ბოლო სამი წლის მანძილზე სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი არ ფიქსირდება.

1. **2.დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პირიოვნული სიმყარე და შეუვალობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით კანდიდატი არის ობიექტური, სამართლიანი, მიუკერძოებელი, მედეგი, პრინციპული და შეუვალი პიროვნება. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატს შესწევს უნარი მხარეებს შეუქმნას ობიექტურობისა და სამართლიანობის განცდა.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

1.3.პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება. კანდიდატის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იძებნება. სასამართლო დავაში მხარედ მონაწილეობა არ ფიქსირდება.

კანდიდატ თეონა კობიაშვილის მიერ განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაციით, კანდიდატი მონაწილეობდა საკონსტიტუციო სასამართლოში, მოსარჩელის სტატუსით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (I კოლეგია) 2014 წლის 12 სექტემბრის N1/4/582 განჩინება. დავის საგანს წარმოადგენდა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2014 წლის 5 თებერვალს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უკვე დანიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ითვლებოდა დროებით მოვალეობის შემსრულებლად შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე. 2014 წლის 29 მაისის N2479 კანონით სადავო ნორმამ იურიდიული ძალა დაკარგა (ამოღებული იქნა კანონიდან), შესაბამისად, სამართალწარმოება შეწყდა.

რესპოდენტების შეფასებით, კანდიდატი გამოირჩევა ძალიან კარგი პიროვნული და პროფესიული ქცევით. არის გონიერი, გულისხმიერი, კორექტული, თავაზიანი, თავშეკავებული და ტოლერანტული პიროვნება. იცავს სამოსამართლო ეთიკის ქცევებს, საკითხს განიხილავს დინჯად და გულდასმით, აქვს ემოციების მართვის უნარი.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი, მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად, სარგებლობს ძალიან კარგი რეპუტაციით კოლეგებსა და იურიდიულ წრეებში, არის კორექტული, სამსახურეობრივ მოვალეობებს ასრულებს გულდასმით. თეონა კობიაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ თეონა კობიაშვილი **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კრიტერიუმით საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე, აგრეთვე, კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატ თეონა კობიაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული და ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნა. აქვს სამართლებრივი ანალიზის შესანიშნავი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით ზუსტად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული.

თეონა კობიაშვილთან გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს, საპროცესო კანონმდებლობას, საქართველოს კონსტიტუციას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა მიღებული ქულა - 75/15). ვინაიდან კანდიდატი მოსამართლეობის გამოცდილების არმქონეა, მხედველობაში მიიღება იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასება, რომელიც დადებითია.

სკოლის შეფასებით კანდიდატს გააჩნია ძალიან კარგი თეორიული ცოდნა აქვს სამართლებრივი ანალიზის შესანიშნავი უნარი. ახასიათებს არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით ზუსტად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ თეონა კობიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **25 ქულიდან 22 ქულა.**

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

თეონა კობიაშვილმა, გამოავლინა ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, აქვს სამართლებრივი ანალიზის შესანიშნავი უნარი, ახასიათებს არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. სწორად განსაზღვრავს პრიორიტეტებს და შრომისმოყვარეობის ხარჯზე უმკლავდება დატვირთულობას, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული, აზრს გადმოსცემს მარტივად და გასაგებად. შესწევს შეცდომის აღიარების უნარი და მუდმივად სწრაფვა მეტის სწავლებასა და განვითარებისათვის. პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს ზოგადსამართლებრივ ღირებულებებს და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის თითქმის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად და გასაგებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ, თეონა კობიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **25 ქულიდან 23 ქულა.**

2.3. წერის უნარის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, თეონა კობიაშვილს მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა. ისინი იშვიათად, მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. შესაფასებელი პირი გულდასმით და დიდი ყურადღებით ამზადებდა სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო დოკუმენტების პროექტებს მათი შინაარსი გასაგებად და ლაკონიურად იყო ჩამოყალიბებული. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს მიაჩნია, რომ მან უნდა იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების მეტად განვითარებაზე.

კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, თეონა კობიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.4.პროფესიული თვისებების ქცევის, მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

რეკომენდატორები თეონა კობიაშვილს ახასიათებენ დადებითად, შრომისმოყვარე, მიზანდასახულ, პასუხისმგებლიან და პუნქტუალურ პიროვნებად. განმარტავენ, რომ კანდიდატი არის ხარისხზე ორიენტირებული, დროსა და რესურსებს ანაწილებს სწორად, აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით თეონა კობიაშვილი უნდა შეფასდეს განსაზღვრული მაქსიმალური **15 ქულიდან 14 ქულით.**

2.5.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

თეონა კობიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებაში:

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა

პრაქტიკული ფსიქოლოგია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა. საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე შრომითი დავები და სასამართლო პრაქტიკა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა. გადაწყვეტილების შედგენა და დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები - საჯარო სამსახურის ბიურო
მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო დავების განხილვა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა / CoE
თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები (სამოქალაქო/ადმინისტრაციული) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, თეონა კობიაშვილს უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **10 ქულიდან 7 ქულა.**

2.6. პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, თეონა კობიაშვილი უნდა შეფასდეს მაქსიმალური **5 ქულიდან 3 ქულით.**

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

თეონა კობიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **87 ქულით, რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის (100 ქულა) 87%-ს შეადგენს.**

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

09.12.2024 წელი